MES 7 22 0000241353

10/03/2022

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2022 წლის 25 თებერვალს.**

სხდომის დაწყებამდე საბჭოს წევრებს, ექსპერტებს და დაწესებულებებს გაეგზავნა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/85666825582?pwd=Y3FKSjRqMHI1Q2ZjcmdPTDFHZUdTUT09
Meeting ID: 856 6682 5582

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - შპს „თბილცემენტ გრუპის“ ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროექტის ხელმძღვანელი / საბჭოს თავმჯდომარე;
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
დეა აბულაძე - სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს პროგრამების მართვის დეპარტამენტის „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის“ ქვეპროგრამის - „ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა“ - პროგრამული განვითარების კოორდინატორი / საბჭოს წევრი;
ქრისტინა რზგოევა - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი / საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს წევრი;
ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე /საბჭოს წევრი;
ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში - ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი / საბჭოს წევრი;
მარიამ ჩაგელიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი / საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

ა(ა)იპ - კოლეჯი „ჰორიზონტი“
ნანა ჯოლია - დირექტორი
თამარ არობელიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
მურთაზ დევაძე - რექტორის მ/შ;
ნინო ყურშუბაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
რუსუდან ყიფიანი - იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
გოჩა გოგიტიძე - პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი;
ირინა ინწკირველი - პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსის მოადგილე;
ნანა ბერიძე - პროფესიული მომზადების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი;
ნინო ხორავა - ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი;
თინათინ გოგინავა - საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი;
ანა ჩიჩუა - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;

შპს ცხუმ-ეგრისი
გელა მამფორია - დირექტორი;
ნონა თაკალანძე - ხარისხის მართვის მენეჯერი;

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
თეონა ხუფენია - რექტორი;
მანანა ჭანტურია - პროფესიული პროგრამების განყოფილების უფროსი;
მანანა სამუშია - პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსი;
ქეთევან ლომაია - პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი;

სსიპ - კოლეჯი „თეთნულდი“
ირმა ჯაფარიძე - დირექტორი;
თეონა ჯაფარიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი;

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები:

ზაირა ბერიძე
ეკატერინე გიგაშვილი
ქეთევან გელაშვილი
ალექსანდრე კეკენაძე
თამარ ახალაძე
ვახტანგ ბოგველიშვილი
ირმა ღარიბაშვილი
პაატა ცაგარეიშვილი
ნინო გორგოშაძე
ტიტე ბოლქვაძე
ქეთევან ანთაძე
ნანა ხითარიშვილი
ელენე კაკაბაძე
თათია გივიშვილი
ქეთევან ბოტკოველი
თამილა გრძელიშვილი
ქეთევან ჭუჭულაშვილი
ირმა არსენაშვილი
ნინო თამაზაშვილი
ზაირა ბერიძე
მამუკა ხოშტარია

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 17:10 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხო-ვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

ვინაიდან საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი მაგდა ბოლოთაშვილი, საბჭოს თავმჯდომარის დავალებით, ოქმის წარმოება დაევალა საბჭოს წევრს ქრისტინა რზგოევას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი**:

1. ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტში“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „ამწის ოპერირების“ (ქ. ბათუმი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „საბაჟო საქმის“ (ქ. ფოთი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის“ (ქ. ბათუმი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირების“ (ქ. ბათუმი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
8. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირების“ (ქ.ფოთი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
9. შპს ცხუმ-ეგრისისთვის „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
10. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „საექთნო საქმის“ (ქ. სენაკი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
11. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ვეტერინარიის“ (ქ. სენაკი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
12. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „მეფუტკრეობის“ (ქ. სენაკი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
13. სსიპ - კოლეჯ „თეთნულდისთვის“ „ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა ჰქონდა ცენტრს, ექსპერტის თხოვნით მესამე საკითხი გადმოტანილ იქნა პირველ საკითხად, ხოლო დანარჩენი საკითხების თანმიმდევრობა არ შეცვლილა.

განახლებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „საბაჟო საქმის“ (ქ. ფოთი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტში“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „ამწის ოპერირების“ (ქ. ბათუმი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის“ (ქ. ბათუმი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირების“ (ქ. ბათუმი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
8. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირების“ (ქ.ფოთი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
9. შპს ცხუმ-ეგრისისთვის „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
10. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „საექთნო საქმის“ (ქ. სენაკი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
11. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ვეტერინარიის“ (ქ. სენაკი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
12. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „მეფუტკრეობის“ (ქ. სენაკი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
13. სსიპ - კოლეჯ „თეთნულდისთვის“ „ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

1. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „საბაჟო საქმის“ (ქ. ფოთი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ

აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს და წარმატებები უსურვა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ვახტანგ ბოგველიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 12 იანვრის №15112 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, დაევალა სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში“ საგანმანათლებლო პროგრამის „საბაჟო საქმე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) და ბ.დ) კომპონენტების შემოწმება. ამ მიზნით, 2022 წლის 4 თებერვალს შედგა ვიზიტი ქ. ფოთში, მისამართზე წმ. გიორგის ქუჩა №24, ფოთის საზღვაო-საწვრთნელ ცენტრში (სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის“ ფილიალი).

2021 წელს, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, დაწესებულებას აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ქ. ფოთში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად განესაზღვრა 30 პროფესიული სტუდენტი. ამ წარმოების ფარგლებში, სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას“ სურს აღნიშნული რაოდენობა გაზარდოს 15 პროფესიული სტუდენტით.
ექსპერტთა ჯგუფის მიზანს წარმოადგენდა ყველა იმ გარემოების შესწავლა, რაც უკავშირდება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (30 პროფესიული სტუდენტი) 15 პროფესიული სტუდენტით გაზრდის შემთხვევაში (45 პროფესიული სტუდენტი) დაწესებულების შესაძლებლობების დადგენასა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასებას. ამისთვის ექსპერტებმა შეისწავლეს ფოთის ფილიალში ადმინისტრაციული თანამშრომლების კომპეტენცია და სამუშაო აღწერილობები;
სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის“ მართვის პრაქტიკის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ აკადემიის ფოთის ფილიალის - „ფოთის საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის“ სტრუქტურას, მიზნებს, საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და სხვა საკითხებს განსაზღვრავს დებულება, რომლის შესაბამისადაც ცენტრს ჰყავს ცენტრის უფროსი და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. ცენტრის სტრუქტურა შედგება: ადმინისტრაციული სამმართველოს, საწვრთნელი ცენტრის, საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფის სამმართველოსა და ბიბლიოთეკისგან.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საბაჟო საქმე“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გაზრდის მიზნით, ჩატარდა დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შიდა მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო სხდომა. სხდომაზე განხილულ იქნა გარემოებები, რომლებიც განაპირობებს აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ

სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გაზრდის საჭიროებას: ფოთის საზღვაო-საწვრთნელ ცენტრში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საბაჟო საქმე“ პროფესიულ სტუდენტთა პირველი მიღება განხორციელდა 2021 წელს. ამ პროგრამაზე ადგილების რაოდენობა განსაზღვრული იყო 30-ით. მიმდინარე წლის შერჩევის პროცესის მაჩვენებელი ცხადყოფს, რომ პროგრამაზე სწავლის მსურველთა რაოდენობა გაცილებით მეტია. კერძოდ, დარეგისტრირებულ აპლიკანტთა რიცხვმა შეადგინა 54, რაც მიუთითებს პროგრამის მიმართ მაღალ მოთხოვნაზე. ამ ეტაპზე, პროგრამაზე სწავლობს 24 პროფესიული სტუდენტი, რომლებიც გადანაწილებულ არიან ორ ჯგუფად. ვინაიდან პროგრამის ხანგრძლივობა არის 70 კვირა და პროფესიული სტუდენტების მიღება ხდება წელიწადში ერთხელ, ეს გამოიწვევს პროგრამის განხორციელების წყვეტას. პროფესიულ პროგრამაზე ადგილების ზღვრული ოდენობის გაზრდა უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტობას და ამასთან ერთად მის გაძლიერებას, განვითარებასა და პროფესიული მასწავლებლების უწყვეტ დასაქმებას (შენარჩუნებას). დაწესებულებას აქვს საშუალება გაზარდოს პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა 15-ით, რაც მათ საშუალებას მისცემს ყოველ მომდევნო ჩარიცხვაზე მიიღონ მინიმუმ ერთი, 15 პროფესიული სტუდენტისგან
შემდგარი ჯგუფი. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა არ მოითხოვს დამატებითი მატერიალური და ადამიანური რესურსის მობილიზებას.
წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, აღნიშნული პროგრამა შეფასდა „მეტწილად შესაბამისად“ სტანდარტის მოთხოვნებთან - 2.2 და 2.4 კომპონენტები შეფასდა „მეტწილად შესაბამისად“. ამ წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა მხრიდან 2.2 და 2.4 კომპონენტები შეფასდა „სრულად შესაბამისად“. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პროგრამა არის უკვე „სრულ შესაბამისობაში“ სტანდარტის მოთხოვნებთან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის გათვალისწინებით.

ვიზიტის დროს დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაციები
ინდიკატორი 2.2.1.1 მემორანდუმი გაფორმებულია სამ პარტნიორთან (სსიპ შემოსავლების სამსახური; შპს „სერვის პლიუსი“; შპს „სოფმარ“). ექსპერტთა ჯგუფმა მასალების შესწავლისას აღმოაჩინა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის „საბაჟო საქმე“ განხორციელებაში ჩართულ პრაქტიკის ობიექტებად დაწესებულებას მითითებული აქვს მხოლოდ ორი მათგანი (სსიპ შემოსავლების სამსახური; შპს „სერვის პლიუსი“). რეკომენდებულია, გასწორდეს აღნიშნული უზუსტობა და პროგრამაში მიეთითოს სამივე პრაქტიკის ობიექტის დასახელება.
ზემოხსენებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ ექსპერტთა დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია: აკადემია ეთანხმება ექსპერტთა რეკომენდაციას და არაუგვიანეს 2022 წლის 15 მარტამდე უზრუნველყოფს საბაჟო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ასახოს მემორანდუმებით გათვალისწინებული სამივე პრაქტიკის ობიექტი.
ინდიკატორი 2.2.1.6 დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით დადასტურდა მათი მზაობა, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყონ სსსმ პირისთვის სასწავლო რესურსების ადაპტირება. ამასთან, სასურველია კოლეჯმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში კონკრეტულად გაითვალისწინოს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა (მაგ.: მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, ბრაილის შრიფტის გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ. (საჭიროების შესაბამისად).
ზემოხსენებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ ექსპერტთა დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია: აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნება იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელთა დაშვების წინაპირობას არ წარმოადგენს ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობის წარდგენის აუცილებლობა. რეკომენდაციის შესაბამისად მიმდინარეობს ცვლილებების

შემუშავება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 39-ე მუხლის (ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი) მე-5 პუნქტში შესატანად. პროცესი დასრულდება არაუგვიანეს 2022 წლის 15 მარტისა.
ექსპერტმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა სასწავლო გარემოსა და პროგრამისთვის განკუთვნილი მატერიალური რესურსის ამსახველი ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა იმით, თუ რამ გამოიწვია სტუდენტების მიღება კვოტაზე ნაკლები რაოდენობით, იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად სტუდენტთა რაოდენობა არის 24, აპლიკანტების განაცხადი - 54, ხოლო ლიმიტი - 30. დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ჩარიცხვის დროს იყო სისტემური/ტექნიკური პრობლემები, ამიტომ პროფესიული სტუდენტები გადანაწილდნენ ქაოსურად. საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ საჭიროა გაირკვეს, თუ რით დასტურდება მიღებული განცხადებების დიდი რაოდენობა. ჰიპოთეტურად, შესაძლოა ზღვრული რაოდენობის გაზრდა მასწავლებელთა უწყვეტობის შენარჩუნებისთვის იყოს გამიზნული. დარგის ექსპერტმა საჭიროდ არ ჩათვალა ინფორმაციის გამოთხოვა დაწესებულებიდან, ვინაიდან პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით, ბაზარზე მოთხოვნა ნამდვილად არსებობს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა იმაზე, რომ მოთხოვნის ზრდასთან დაკავშირებით დაწესებულებას არ აქვს კვლევა ჩატარებული, თუმცა აწარმოებდნენ სტატისტიკას მომართვიანობისა და დასაქმების შესახებ. რაოდენობის გასაზრდელად მათ აქვთ შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსი, საჭირო არ არის მათი დამატებით მობილიზება. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების მოთხოვნა პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის 15-ით გაზრდასთან დაკავშირებით. ინტერვიუს დასრულების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა დარეგისტრირებულ აპლიკანტთა რაოდენობა, წარმოდგენილი მონაცემებით, ეს იყო 54. სხვა სახის დოკუმენტი ფიზიკურად არ ყოფილა წარმოდგენილი. დასაქმების შესაძლებლობებთან დაკავშირებით გასაუბრება ჩატარდა პრაქტიკის ობიექტებთან. ისინი ადასტურებენ, რომ კადრებზე არის მოთხოვნა და დაინტერესებულნი არიან პროგრამის განხორციელებაში ჩართვით.
ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ნინო სტეფანიშვილმა აღნიშნა, რომ კვოტის გაზრდის 7 წარმოებიდან მონიტორინგი დანიშნული იყო 4-ზე. ძირითადად 2.2 კომპონენტი იყო შესამოწმებელი, წინა მონიტორინგიდან გამომდინარე მოცემულ პროგრამაში დაემატა კიდევ 1 კომპონენტი. ექსპერტებმა დიდი დრო დახარჯეს იმის დადგენაში, თუ რის საფუძველზე ხდებოდა კვოტის გაზრდა.
დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ერთსა და იმავე დაწესებულებაში განმეორებითი ვიზიტისას შეიმჩნევა გარკვეული ტენდენციები - პროგრესის ან რეგრესის. ამ ეტაპზე დაწესებულება ბევრად უფრო მომზადებული და მობილიზებული შეხვდა ვიზიტს.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, მათ მადლობა გადაუხადეს ექსპერტთა ჯგუფს გაწეული საქმიანობისთვის და აღნიშნეს, რომ პროგრამა პირველად განხორციელდა. დაფიქსირებულ აპლიკანტთა რაოდენობა დასაბუთებულია და მისი გადამოწმება შესაძლებელია ემისის ბაზაში. ტარდება ერთიანი გამოცდები და აპლიკანტებს აქვთ საშუალება დარეგისტრირდნენ რამდენიმე დაწესებულებაში ერთდროულად. იყო შემთხვევები, როდესაც პროფესიულმა სტუდენტმა რამდენიმე დაწესებულებისგან მიიღო თანხმობა, თუმცა ჩაირიცხა იმ სასწავლებელში, რომელმაც პირველად ატვირთა ბრძანება. ეს იწვევს ერთ სასწავლებელში სტუდენტების რაოდენობის შემცირებას. პროგრამაში სტუდენტის მიღება შესაძლებელია წელიწადში ერთხელ კვოტის შესაბამისად, პროცესის გასაგრძელებლად საჭიროა კვოტის დამატება. პროგრამისადმი დიდი ინტერსიდან გამომდინარე მოცემულ განაცხადში წარმოდგენილი იყო დასაბუთება, ხოლო კვლევა პროგრამების დამატების ეტაპზე იქნა შემუშავებული, რომელშიც საბაჟო საქმე მოექცა მაღალი ინტერესის მქონე პროგრამებს შორის.
საბჭოს თავმჯდომარემ ისაუბრა იმაზე, რომ მიუხედავად რესურსის არსებობისა, კვოტის გაზრდა ავტომატურად ნიშნავს, რომ სხვა პროგრამის საჭიროების გაჩენისას, შესაძლოა ისინი

ვერ დაკმაყოფილდეს. საჭიროა ბაზრის შესწავლა, გარკვევა, თუ რა რაოდენობით კადრები სჭირდება ფოთს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.

საბჭოს თავმჯდომარემ დააფიქსირა საკუთარი პოზიცია. მან აღნიშნა, რომ დასაბუთების ნაწილში, მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით გაჩნდა კითხვები. საბჭოს წევრებისთვის ცნობილია საბაჟო საქმის მოთხოვნადობა, განსაკუთრებით რეგიონისთვის. წყაროები სხვადასხვაა, არის შესაბამისი კვლევები, თუმცა საბჭო ხელმძღვანელობს ავტორიზაციის დებულებით, რომლის შესაბამისად განსაზღვრული პროცედურებით, მნიშვნელოვანია დაწესებულებას არა მხოლოდ ფორმალური კვლევით, არამედ გაცნობიერების დონეზე გააზრებული ჰქონდეს პროგრამისთვის გაზრდილი კვოტის მნიშვნელობა. პროცესების სწორად წარმართვისათვის საჭიროა კვოტა არ გაიზარდოს ერთ ნაწილში მაშინ, როდესაც მეორე პროგრამას მეტად სჭირდება.
საბჭოს რეკომენდაციაა, რომ დაწესებულებების შემოწმებისას ცენტრი და ექსპერტები უფრო ყურადღებით მიუდგნენ მიზანშეწონილობის შეფასებას, მეტად იყოს ის გამყარებული მტკიცებულებებით _ არა ფორმალურით, არამედ ბაზრის კვლევაზე დაყრდნობით. ცენტრის მიმართ საბჭოს შუამდგომლობაა, რომ მოკვლეულ იქნას პროგრამაზე კვოტის გაზრდასთან დაკავშირებული დასაბუთებისას გაჟღერებული ციფრები, დადასტურდეს ნამდვილად იყო თუ არა დარეგისტრირებული 54 სტუდენტი.
საბჭოს თავმჯდომარემ წაიკითხა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენლები და კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „საბაჟო საქმის“ (ქ. ფოთი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას (ს/კ: 245427337) დანართით განსაზღვრულ „საბაჟო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 45-ით ქ. ფოთში **(დანართი 1).**

2. ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტში“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს და წარმატებები უსურვა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ზაირა ბერიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ფოტომასალის წარდგენით. დაწესებულება არის ახალი როგორც ინფრასტრუქტურით, ისე აღჭურვილობით, არის სრული შესაბამისობა სტანდარტებთან.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 11 იანვრის №7600 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების „კომოიუტერული ქსელი და სისტემების“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, „ბაღის დიზაინის“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, „მებაღეობისა“ და „მეხილეობის“ (განხორციელების ადგილი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. გორაბერეჟოული) - ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმებისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტ, სოფ. გორაბერეჟოულის მისამართისთვის ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის დ.ა) და დ.ბ) კომპონენტების და აგრეთვე, ე) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ე.ა) და ე.ბ) კომპონენტების, დაწესებულების შესაბამისობის შეფასება.
წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ზემოაღნიშნული ოთხივე პროგრამა შეფასდა „მეტწილ შესაბამისად“ სტანდარტის მოთხოვნებთან, 2.2 კომპონენტის „მეტწილ შესაბამისად“ შეფასების გამო, რადგან დაწესებულებას არ ჰქონდა შეძენილი პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო მატერალური რესურსი. ამ წარმოების ფარგლებში ოთხივე პროგრამაში ექსპერტთა ჯგუფმა 2.2 კომპონენტი შეაფასა „სრულ შესაბამისად“, ექსპერტების მიერ გადამოწმდა შესყიდვების დოკუმენტაციები და აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ პროგრამების შესაბამისად აღჭურვა მოხდა სასწავლო პროცესის დაწყებამდე, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესების მდგრადობას, აღნიშნულიდან გამომდინარე აღნიშნული პროგრამები არის „სრულად შესაბამისი“ სტანდარტის მოთხოვნებთან.
წინა მონიტორინგის წარმოების ფარგლებში 4.1, 4.2, 5.1 და 5.2 კომპონენტები შეფასდა „მეტწილ შესაბამისად“, რადგან დაწესებულებას არ ჰქონდა შესყიდული შესაბამისი მატერიალური რესუსი. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტების მიერ გადამოწმდა შესყიდვების დიკუმენტები და აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ პირველი წარმოების დროს შემუშავებული შესაბამისობის გეგმის თანახმად დაწესებულების აღჭურვა მოხდა დროულად, სასწავლო პროცესის განახლებამდე. ამ წარმოების ფარგლებში აღნიშნული კომპონენტები ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა „სრულ შესაბამისად“.

წინა ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციები დაწესებულებას შესრულებული აქვს, ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა და რეკომენდაციები არ გაცემულა.
პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ არის მოდულური (ინტეგრირებული), პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა არის 30, მათგან ყველა ინტეგრირებული. ვიზიტის პერიოდში აქტიური სტუდენტების რაოდენობა იყო 11. დაწესებულება თანამშრომლობს შპს „ეარნეტთან“, რომელიც გაცნობითი პროგრამით შემოიფარგლება.
პროგრამა „ბაღის დიზაინი“ არის მოდულური (ინტეგრირებული), პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა არის 30, მათგან ყველა ინტეგრირებული. ვიზიტის პერიოდში აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა იყო 8. დაწესებულება თანამშრომლობს ურეკი რეზიდენსთან, რომელიც გაცნობითი პროგრამით შემოიფარგლება.
პროგრამა „მებაღეობა“ არის მოდულური, პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა არის 30. ვიზიტის პერიოდში აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა იყო 10. დაწესებულება თანამშრომლობს პრაქტიკის ობიექტებთან: სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, ფიზიკური პირები.
პროგრამა „მეხილეობა“ არის მოდულური, პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა არის 30. ვიზიტის პერიოდში აქტიური სტუდენტების რაოდენობა იყო 12. დაწესებულება თანამშრომლობს პრაქტიკის ობიექტებთან: შპს „ადამ ბერიძის სახელობის „ნიადაგის, სურსათისა და მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის დიაგნოსტიკური ცენტრი“, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ნაგომარი“, სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“, ფიზიკური პირები (3 პრაქტიკის ობიექტი).
წინა ვიზიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია ინტეგრირებული მოდულების ლაბორატორიის გამდინარე წყლითა და გამწოვით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. რეკომენდაცია შესრულებულია.
საკუთარი პოზიცია დააფიქსირეს დარგის ექსპერტებმა, მათ აღნიშნეს, რომ ვიზიტის დროს კოლეჯში მიმდინარეობდა სწავლა. არის თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი გარემო. მატერიალური რესურსი სრულად არის ადგილზე, ჩატარდა მოდულის განმახორციელებლებთან გასაუბრებაც. დაწესებულებაში არის იდეალური პირობები სწავლებისათვის.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს, რომელმაც მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული საქმიანობისთვის.
შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა „ბაღის დიზაინის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განმახორციელებლების საკითხით, ვინაიდან ამ მიმართულებით რთულია კადრების მოძიება. დარგის ექსპერტმა დასძინა, რომ ყავთ გამოცდილი სპეციალისტები. საგანმანათლებლო პროგრამაში არის სოფლის მეურნეობის ნაწილი, ყავთ აგრარული მიმართულების კარგი სპეციალისტები, დაგეგმარების ნაწილში არქიტექტორები. ამ მხრივ კითხვები არ გაჩენილა. კოლეჯის გარშემო არის დიდი ტერიტორია, რომელიც ნაწილობრივ არის ათვისებული და დეკორატიული მებაღეობის თვალსაზრისით აქვს კარგი პოტენციალი, პროგრამის პროფესიულ სტუდენტებმა დაგეგმარება სწორედ ამ ტერიტორიაზე უნდა ისწავლონ. დაწესებულება ასევე თანამშრომლობს დენდროლოგიურ პარკთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტში“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტში“ (ს/კ: 237079497) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 25 თებერვალი.

3. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „ამწის ოპერირების“ (ქ. ბათუმი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს და წარმატებები უსურვა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ვახტანგ ბოგველიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 12 იანვრის №15109 (ცვლ. №93086 – 01/02/2021) ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, დაევალა სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში“ საგანმანათლებლო პროგრამის „ამწის ოპერირება“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შემოწმება.
დაწესებულებას აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრული ჰქონდა 20 პროფესიული სტუდენტი. ამ წარმოების ფარგლებში, სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას“ სურს აღნიშნული რაოდენობა გაზარდოს 10 პროფესიული სტუდენტით. ექსპერტთა ჯგუფის მიზანს წარმოადგენდა ყველა იმ გარემოების შესწავლა, რაც უკავშირდება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (20 პროფესიული სტუდენტი) 10 პროფესიული სტუდენტით გაზრდის შემთხვევაში (30 პროფესიული სტუდენტი) დაწესებულების შესაძლებლობების დადგენასა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასებას. ამისთვის ექსპერტებმა შეისწავლეს საგანმანათლებლო პროგრამის მართვის სპეციფიკა; პროგრამის განხორციელების პირობები: აუდიტორიები, მატერიალური რესურსი, ადამიანური რესურსი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ამწის ოპერირება“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გაზრდის მიზნით, ჩატარდა დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შიდა მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო სხდომა. სხდომაზე განხილულ იქნა გარემოებები, რომლებიც განაპირობებს აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გაზრდის საჭიროებას: ამ პროგრამაზე ადგილების რაოდენობა განსაზღვრული იყო 20-ით. მიმდინარე წლის შერჩევის პროცესის მაჩვენებელი ცხადყოფს, რომ პროგრამაზე სწავლის მსურველთა რაოდენობა გაცილებით მეტია. კერძოდ, დარეგისტრირებულ აპლიკანტთა რიცხვმა შეადგინა 49, რაც მიუთითებს პროგრამის მიმართ მაღალ მოთხოვნაზე. ამ ეტაპზე, პროგრამაზე სწავლობს 19 პროფესიული სტუდენტი, რომლებიც გადანაწილებულ არიან ორ ჯგუფად (პირველ ჯგუფში ირიცხება 10 პროფესიული სტუდენტი, ხოლო მეორე ჯგუფში - 9 პროფესიული სტუდენტი). დაწესებულებას აქვს საშუალება გაზარდოს პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა 10-ით, რაც მათ საშუალებას მისცემს დამატებითი მატერიალური და ადამიანური რესურსების მობილიზების გარეშე მოემსახურონ 15 პროფესიული სტუდენტისგან შემდგარ ორ ჯგუფს. დაწესებულება ხსენებულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 2018 წლიდან. კვოტის გაზრდის დასაბუთების მიზნით, მათ ექსპერტთა ჯგუფს წარმოუდგინეს პროგრამაზე დარეგისტრირებულ აპლიკანტთა სტატისტიკა (2018–2021წწ), რაც ცხადყოფს, რომ პროგრამაზე სწავლის მსურველთა რიცხვი წლიდან წლამდე მატულობს. ექსპერტთა ჯგუფი ასევე გაეცნო აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას. საგულისხმოა, რომ ხსენებულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა არ მოითხოვს დამატებითი მატერიალური და ადამიანური რესურსის მობილიზებას.

ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები:

ინდიკატორი 2.2.1.6 დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით დადასტურდა მათი მზაობა, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყონ სსსმ პირისთვის სასწავლო რესურსების ადაპტირება. ამასთან, სასურველია კოლეჯმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში კონკრეტულად გაითვალისწინოს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა (მაგ.: მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, ბრაილის შრიფტის გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ (საჭიროების შესაბამისად).

ზემოხსენებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ ექსპერტთა დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია: აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნება იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელთა დაშვების წინაპირობას არ წარმოადგენს ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობის წარდგენის აუცილებლობა. რეკომენდაციის შესაბამისად მიმდინარეობს ცვლილებების შემუშავება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 39-ე მუხლის (ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი) მე-5 პუნქტში შესატანად. პროცესი დასრულდება არაუგვიანეს 2022 წლის 15 მარტისა. თუმცა, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ამწის ოპერირება“ დაშვების ერთ-ერთი წინაპირობაა ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა - ფორმა №IV-100/ა“ და მასზე სპეციალური საჭიროების მქონე პირები ვერ ჩაირიცხებიან.

ექსპერტმა საბჭოს ფოტომასალის საშუალებით წარუდგინა სასწავლო გარემო და ბიბლიოთეკა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს, რომელმაც მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული საქმიანობისთვის. მან აღნიშნა, რომ ძირითადი აქცენტი მიმართული იყო გარემოს უზრუნველყოფაზე, რათა ის სრულად ყოფილიყო გამოყენებული. გარემოს გამტარუნარიანობა არის 15, 10 ადგილის დამატებით თითო ჯგუფს ემატება 5-5 ადგილი და პროგრამა განხორციელდება 2 ცვლაში. ადგილების დამატებისთვის საჭირო არ არის დამატებითი მატერიალური და ადამიანური რესურსი.

საბჭოს წევრი შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, არის თუ არა გათვალისწინებული აქტივობების ჩატარება რეალურ გარემოში. დაწესებულების წარმომადგენელმა დასძინა, რომ რეალურ

გარემოში აქტივობების განხორციელების საჭიროება არ არის, რადგან პროგრამა მას არ ითვალისწინებს, ვინაიდან არ არის საწარმოო და გაცნობითი პრაქტიკის მოდული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ წაიკითხა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენლები და კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „ამწის ოპერირების“ (ქ. ბათუმი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას (ს/კ: 245427337) დანართით განსაზღვრულ „ამწის ოპერირების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 30-ით ქ. ბათუმში **(დანართი 2).**

4. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს და წარმატებები უსურვა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ვახტანგ ბოგველიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 12 იანვრის №15117 (ცვლილება №93082 – 01/02/2022) ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, დაევალა სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში“ საგანმანათლებლო პროგრამის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) და ბ.დ) კომპონენტების შემოწმება. ამ მიზნით, 2022 წლის 4 თებერვალს შედგა ვიზიტი ქალაქ ბათუმსა და ფოთში.

ვიზიტის დასასრულს, ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები და გააცნო დაწესებულების წარმომადგენლებს. 2021 წელს, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, დაწესებულებას აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად განესაზღვრა 30 პროფესიული სტუდენტი. ამ წარმოების ფარგლებში, სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას“ სურს აღნიშნული რაოდენობა გაზარდოს 15 პროფესიული სტუდენტით. ექსპერტთა ჯგუფის მიზანს წარმოადგენდა ყველა იმ გარემოების შესწავლა, რაც უკავშირდება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (30 პროფესიული სტუდენტი) 15 პროფესიული სტუდენტით გაზრდის შემთხვევაში (45 პროფესიული სტუდენტი) დაწესებულების შესაძლებლობების დადგენასა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასებას.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გაზრდის მიზნით, ჩატარდა დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შიდა მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო სხდომა. სხდომაზე განხილულ იქნა გარემოებები, რომლებიც განაპირობებს აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გაზრდის საჭიროებას: ფოთის საზღვაო-საწვრთნელ ცენტრში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ პროფესიულ სტუდენტთა პირველი მიღება განხორციელდა 2021 წელს. ამ პროგრამაზე ადგილების რაოდენობა განსაზღვრული იყო 30-ით. მიმდინარე წლის შერჩევის პროცესის მაჩვენებელი ცხადყოფს, რომ პროგრამაზე სწავლის მსურველთა რაოდენობა გაცილებით მეტია. კერძოდ, დარეგისტრირებულ აპლიკანტთა რიცხვმა შეადგინა 47, რაც მიუთითებს პროგრამის მიმართ მაღალ მოთხოვნაზე. ამ ეტაპზე, პროგრამაზე სწავლობს 28 პროფესიული სტუდენტი, რომლებიც გადანაწილებულ არიან ორ ჯგუფად. ვინაიდან პროგრამის ხანგრძლივობა არის 71 კვირა და პროფესიული სტუდენტების მიღება ხდება წელიწადში ერთხელ, ეს გამოიწვევს პროგრამის განხორციელების წყვეტას. პროფესიულ პროგრამაზე ადგილების ზღვრული ოდენობის გაზრდა უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტობას და ამასთან ერთად მის გაძლიერებას, განვითარებასა და პროფესიული მასწავლებლების უწყვეტ დასაქმებას (შენარჩუნებას). დაწესებულებას აქვს საშუალება გაზარდოს პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა 15-ით, რაც მათ საშუალებას მისცემს ყოველ მომდევნო ჩარიცხვაზე მიიღონ მინიმუმ ერთი, 15 პროფესიული სტუდენტისგან შემდგარი ჯგუფი. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა არ მოითხოვს დამატებითი მატერიალური და ადამიანური რესურსის მობილიზებას.

წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, აღნიშნული პროგრამა შეფასდა „შეუსაბამოდ“ სტანდარტის მოთხოვნებთან - 2.2 კომპონენტი შეფასდა „შეუსაბამოდ“. ამ წარმოების

ფარგლებში, ექსპერტთა მხრიდან 2.2 და 2.4 კომპონენტები შეფასდა „სრულად შესაბამისად“. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არის უკვე „სრულ შესაბამისობაში“ სტანდარტის მოთხოვნებთან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის გათვალისწინებით.

გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები:
ინდიკატორი 2.2.1.3 სასურველია, რომ პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩაუტარდეთ ტრენინგები ისეთ თემებზე, როგორიცაა სწავლების ეფექტური მეთოდები პროფესიულ განათლებაში, შეფასების სისტემა, სასწავლო პროცესი და ინსტრუმენტისა და მტკიცებულების გამოყენება, კომპონენტებზე დაფუძნებული სწავლა-სწავლება და შეფასება პროფესიულ განათლებაში.
ზემოხსენებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ ექსპერტთა დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია: მიუხედავად იმისა, რომ საზღვაო აკადემია სისტემურად ახდენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შიდა მომზადება/გადამზადებს როგორც ინდივიდუალური კონსულტაციებით, ასევე ჯგუფური შეხვედრებით (მათ შორის ონლაინ პლატფორმის გამოყენებით), ითვალისწინებს აღნიშნულ რეკომენდაციას და აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვადასხვა ტრენერებსა თუ ორგანიზაციებთან, რათა მოახდინონ პროფესიულ მასწავლებელთა გადამზადება მითითებული მიმართელებებით, რომლებიც დასრულდება მიმდინარე წელს.
ინდიკატორი 2.2.1.6 დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით დადასტურდა მათი მზაობა, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყონ სსსმ პირისთვის სასწავლო რესურსების ადაპტირება. ამასთან, სასურველია კოლეჯმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში კონკრეტულად გაითვალისწინოს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა (მაგ.: მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, ბრაილის შრიფტის გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ (საჭიროების შესაბამისად).
ზემოხსენებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ ექსპერტთა დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია: აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნება იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელთა დაშვების წინაპირობას არ წარმოადგენს ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობის წარდგენის აუცილებლობა. რეკომენდაციის შესაბამისად მიმდინარეობს ცვლილებების შემუშავება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 39-ე მუხლის (ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი) მე-5 პუნქტში შესატანად. პროცესი დასრულდება არაუგვიანეს 2022 წლის 15 მარტისა. თუმცა, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ დაშვების ერთ-ერთი წინაპირობაა ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა - ფორმა №IV -100/ა“ და მასზე სპეციალური საჭიროების მქონე პირები ვერ ჩაირიცხებიან.
ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა ბათუმისა და ფოთის ცენტრის სასწავლო გარემოსა და აღჭურვილობის ამსახველი ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დარგის ექსპერტს, რომელმაც დასძინა, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზით გამართულია როგორც ფოთის, ისე ბათუმის მისამართზე არსებული C გარემო. ზოგიერთი მოდულის კომპონენტები განხორციელდება ბათუმში, კერძოდ: სახარატე დაზგებთან და ძრავებთან მუშაობა, აუზისა და ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორების გამოყენება. ფოთშიც ძალიან კარგი ბაზაა, არის სიმულატორი, პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტი, პირადი გადარჩენის მეთოდებისთვის განკუთვნილი C გარემო. ბიბლიოთეკაში საჭირო რესურსი არის როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. დაწესებულებამ დაიმატა პროფესიული განათლების მასწავლებლები. სულ არის 15 პროფესიული მასწავლებელი, რომელთაგან 5 არის დარგობრივი. ისინი არიან კვალიფიციური,

უდასტურდებათ როგორც უფროსი მექანიკოსის, ისე სავახტო მექანიკოსის კვალიფიკაცია. აქვთ გაფორმებული ხელშეკრულება ფოთის ნავსადგურთან, ასევე გამოიყენებენ აკადემიის გემს. დამსაქმებლებმა ინტერვიუს დროს გამოთქვეს მზაობა თანამშრომლობისა და სტუდენტების მისაღებად. ავტორიზაციის დროს დაფიქსირებული შენიშვნები გამოსწორებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა, დაეფიქსირებინათ პოზიცია. კოლეჯის წარმომადგენლებმა ისაუბრეს რეკომენდაციებთან დაკავშირებით და აღნიშნეს, რომ მიუხედავად რეგულარული შიდა ტრენინგებისა და ინდივიდუალური კონსულტაციებისა, აკადემია აწარმოებს მოლაპარაკებას. მარტში დაგეგმილია ტრენინგები მეთოდური მიმართულებით, განსაკუთრებით პროფესიული მოდულების განმახორციელებლებისთვის. ფოთის ლოკაციისთვის უკვე შეკვეთილია ჩარხები, რათა ამ პრაქტიკული ნაწილის გავლა ფოთშიც იყოს შესაძლებელი. აუზი მხოლოდ ბათუმის ლოკაციაზეა განთავსებული. დაწესებულებას აქვს გემი სამანქანე განყოფილებით, რომელსაც იყენებს სამანქანე განყოფილების მოდულისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ წაიკითხა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენლები და კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას (ს/კ: 245427337) დანართით განსაზღვრულ „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 45-ით **(დანართი 3).**

5. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის“ (ქ. ბათუმი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს და წარმატებები უსურვა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ქეთევან ანთაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილ იქნა განაცხადი სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ, ქალაქ ბათუმში (რუსთაველის გამზირი №53) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ‘’პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი“, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ, რის საფუძველზეც, ცენტრის დირექტორის 2022 წლის 12 იანვრის №015111 ბრძანებით, შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა სსიპ ‘’სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია’’-ში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ‘’პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტის "ბ.ბ" კომპონენტთან შესაბამისობის შემოწმება.

წარმოების ფარგლებში, დაწესებულებამ განაცხადი შემოიტანა ქალაქ ბათუმში (რუსთაველის გამზირი №53), პროგრამის ‘’პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი’’ ფარგლებში, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით. კვოტის გაზრდის ძირითადი მიზეზი, როგორც დაწესებულებამ განმარტა არის მომართვიანობის ზრდადი რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენლების თქმით, ყოველწლიურად იმაზე მეტი მსურველი რეგისტრირდება პროგრამაზე, ვიდრე მიღება აქვთ გამოცხადებული. ამასთან დაკავშირებით მათ წარმოადგინეს დარეგისტრირებულ მსურველთა სტატისტიკა ბოლო წლების განმავლობაში. კერძოდ, 2017 წელს გამოცხადებულ მიღებაზე, არსებულ 10 ადგილზე დარეგისტრირდა 24 აპლიკანტი, 2018 წელს 10 ადგილზე 35 აპლიკანტი, 2019 წელს 5 ადგილზე - 21 აპლიკანტი, ხოლო 2021 წელს 5 ადგილზე - 43 აპლიკანტი. წარმოდგენილი სტატისტიკიდან ნათლად ჩანს, რომ აღნიშნულ პროგრამაზე მომართვიანობა რაც შესამჩნევად მზარდია.
დაწესებულებას პროგრამის ‘’პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი“ განხორციელების უფლება აქვს, როგორც მოდულურად (5 - პროფესიული სტუდენტი), ისე დუალურად (5 - პროფესიული სტუდენტი). დუალურ სწავლების ფორმაზე, დაწესებულებას მიღება არ ჰქონია, ხოლო მოდულური პროგრამის ფარგლებში, ამ ეტაპზე, ჰყავთ 5 აქტიური სტუდენტი, რომელზეც ამ წარმოების ფარგლებში სურს რომ კვოტა გაზარდოს კიდევ 10 პროფესიული სტუდენტით (ჯამში მოდულური - 15; დუალური - 5). კვოტის გაზრდის შემთხვევაში დაწესებულება სრულად უზრუნველყოფს მის განხორციელებას პროგრამისთვის საჭირო იმ ადამიანური და მატერიალური რესურსებით, რომლებიც გააჩნია. ხოლო რადგან მომართვიანობის სტატისტიკა მზარდია, შესაბამისად მოთხოვნა გაიზარდა და მათი რესურსებიც იძლევა პროგრამის სრულად

განხორციელების საშუალებას, მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, გადაწყვიტეს რომ აღნიშნულ პროგრამაზე გაეზარდათ კვოტა.

ზემოაღნიშნული ინფორმაციიდან გამომდინარე, „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტის "ბ.ბ" კომპონენტის შესრულების შემოწმების მიზნით, 2022 წლის 3 თებერვალს დაწესებულებაში ქალაქ ბათუმი (რუსთაველის გამზირი №53), განხორციელდა ვიზიტი.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები:
ინდიკატორი 2.2.1–2 დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, უზრუნველყოს პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომითი ხელშეკრულებებისა და პროგრამის პაკეტში განთავსებული დოკუმენტების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა და დოკუმენტაციაში არსებული ტექნიკური უზუსტობების აღმოფხვრა.
ინდიკატორი 2.2.1-6 დაწესებულებას ამ ეტაპისთვის არ აქვს სასწავლო რესურსების ადაპტაციის პრაქტიკა, მაგრამ ექსპერტთა მოსაზრებით და დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციის გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.
ინდიკატორის ფარგლებში, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, მარეგულირებელ წესში კონკრეტულად გაითვალისწინოს სსსმ პირებისთვის, სასწავლო პროცესში შესაბამისი სპეციალისტების: ინკლუზიური განათლების სპეციალისტის, პროფესიული სტუდენტის ასისტენტის და სხვა მხარდამჭერი პირების ჩართვა, რომელთა დახმარებით შედგება ინდივიდუალური გეგმები და ადაპტირდება სასწავლო რესურსები. გარდა ამისა, გაითვალისწინოს, სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა (მაგ.: მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, ბრაილის შრიფტის გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ (საჭიროების შესაბამისად). (იხ. ინდიკატორის აღწერა).
ინდიკატორი 2.2.1–7 პროგრამის ბიუჯეტი მდგრადია, გამომდინარე იქედან, რომ იგი ფინანსდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, თუმცა საჭიროებს კორექტირებას, რადგან პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა (5 პროფესიული სტუდენტი) პროგრამისთვის, წარმოდგენილი ბიუჯეტის მიხედვით, არის რენტაბელობის ზღვარზე (13 პროფესიული სტუდენტი) ნაკლები, ხოლო იგი უნდა აღნიშნავდეს და დაანგარიშდეს პროფესიული სტუდენტების იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც პროგრამა ფინანსურად იქნება მდგრადი და ხარჯებისა და შემოსავლების რაოდენობა იქნება დაბალანსებული.
ექსპერტმა საბჭოს წინაშე წარადგინა სასწავლო გარემოსა და ბიბლიოთეკის ამსახველი ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დარგის ექსპერტს, რომელმაც აღნიშნა, რომ მატერიალური და ადამიანური რესურსი სავსებით საკმარისია მოთხოვნილი კვოტისათვის.
საკუთარი პოზიცია დააფიქსირა დაწესებულების წარმომადგენელმა. მან დასძინა, რომ ექსპერტების რეკომენდაციები უკვე გათვალისწინებულია და განხორციელებულია შესაბამისი ცვლილებები. არსებული რესურსები საკმარისია იმისთვის, რომ ჯგუფში სტუდენტების რაოდენობა გაიზარდოს 15-მდე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ წაიკითხა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენლები და კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის“ (ქ. ბათუმი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას (ს/კ: 245427337) დანართით განსაზღვრულ „პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 20-ით ქ.ბათუმში **(დანართი 4).**

6. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს და წარმატებები უსურვა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ქეთევან ანთაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილ იქნა განაცხადი სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ, ქალაქ ბათუმსა (რუსთაველის გამზირი № 53) და ფოთში (წმ. გიორგის ქ. №24), პროფესიულ საგანმანათლებლო

პროგრამაზე „გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ, რის საფუძველზეც, ცენტრის დირექტორის 2022 წლის 12 იანვრის №015118 ბრძანებით, შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა სსიპ ''სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია''-ში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ''გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტის "ბ.ბ" და ''ბ.დ'' კომპონენტებთან შესაბამისობის შემოწმება ქალაქ ბათუმსა და ფოთში.

წარმოების ფარგლებში, საზღვაო აკადემიამ განაცხადი შემოიტანა პროგრამის ''გემის საგემბანე ექსპლუატაცია'' ფარგლებში, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით 15 პროფესიული სტუდენტის დამატების შესახებ. კვოტის გაზრდის ძირითადი მიზეზი, როგორც დაწესებულებამ განმარტა არის ბოლო წლებში მომართვიანობის გაზრდილი რაოდენობა. ამასთან დაკავშირებით მათ წარმოადგინეს დარეგისტრირებულ მსურველთა სტატისტიკა ბოლო წლების განმავლობაში.

დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებისას და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ აღნიშნულ პროფესიულ პროგრამაზე 2021 წელს გამოცხადებულ მიღებაზე, დაფიქსირდა სწავლის მსურველთა განსაკუთრებით მაღალი აქტივობა. კერძოდ, არსებულ 30 ადგილზე დარეგისტრირდა - 347 აპლიკანტი. გარდა ამისა, ირკვევა, რომ გემბანის მეზღვაურის დასაქმებაზე გაზრდილია ვაკანსიები და მაღალია მოთხოვნა გამოცდილ კადრებზე.

დაწესებულებს პროგრამის '' გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია'' ფარგლებში, ამ ეტაპზე, ჰყავს 30 აქტიური სტუდენტი, რომელზეც ამ წარმოების ფარგლებში სურს რომ კვოტა გაზარდოს კიდევ 15 პროფესიული სტუდენტით (სულ - 45).

რისთვისაც, წინა წარმოების შემდგომ დაწესებულებამ დაიმატა როგორც მატერიალური ისე ადამიანური რესურსი, ხოლო კვოტის გაზრდის შემთხვევაში დაწესებულება სრულად უზრუნველყოფს აღნიშნული პროგრამის განხორციელებას პროგრამისთვის საჭირო იმ რესურსებით, რომლებიც ამ ეტაპისთვის გააჩნია. შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ''გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია'' პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა ეყრდნობა შესაბამის მეთოდოლოგიას, სასწავლო ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და საწარმოო პრაქტიკის გამტარუნარიანობას.

აღსანიშნავია ის, რომ წინა წარმოების ფარგლებში, მეორე სტანდარტის 2.2 კომპონენტთან მიმართებაში, დაფიქსირებული იყო სტანდარტთან შეუსაბამობა, კერძოდ 2.2.1 კრიტერიუმის 1-ელი და მე-3 ინდიკატორი შეფასდა, როგორც “არ შეესაბამება“, გამომდინარე იქედან, რომ 1-ელი ინდიკატორის ფარგლებში, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად არ იყო უზრუნველყოფილი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით (მაგიდები, სკამები, პოსტერები, რუკები და სხვა) პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, ამასთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა არ ითვალისწინებდა ამ კუთხით აქტივობას. ხოლო, მე-3 ინდიკატორის ფარგლებში, მოდულის „ნავიგაცია დამხმარე დონეზე“ განმახორციელებელ პირს ჰქონდა მხოლოდ თევსაჭერი გემის შკიპერისა და გემთმექანიკოსის კვალიფიკაცია, მაგრამ არ ჰქონდა გემთწამყვანის კვალიფიკაცია და შესაბამისი გამოცდილება, რაც აუცილებელი იყო მოდულის განხორციელებისთვის, ხოლო მასთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულების საფუძველზე შეუძლებელი იყო პირის კვალიფიკაციის შესაბამისობის დადასტურება.

ხოლო ამ წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა მხრიდან, აღნიშნული კომპონენტები შეფასდა „სრულ შესაბამისად“. დაწესებულებამ სასწავლო პროცესის დაწყებამდე უზრუნველყო სასწავლო პროცესისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეძენა, რასაც

სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის ხელი არ შეუშლია. შესაბამისად, აღნიშნული პროგრამა სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის გათვალისწინებით.
დაწესებულებას ვიზიტის დროს მიეცა განმავითარებელი რეკომენდაციები
ინდიკატორი 2.2.1-3 - დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის დამატებითი ტრენინგების ჩატარება ისეთ თემებზე, როგორიცაა: სწავლების ეფექტური მეთოდები პროფესიულ განათლებაში, შეფასების სიტემა, სასწავლო პროცესი, ინსტრუმენტისა და მტკიცებულების გამოყენება.
ინდიკატორი 2.2.1-6 დაწესებულებას ამ ეტაპისთვის არ აქვს სასწავლო რესურსების ადაპტაციის პრაქტიკა, მაგრამ ექსპერტთა მოსაზრებით და დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციის გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.
ინდიკატორის ფარგლებში, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, მარეგულირებელ წესში კონკრეტულად გაითვალისწინოს სსსმ პირებისთვის, სასწავლო პროცესში შესაბამისი სპეციალისტების: ინკლუზიური განათლების სპეციალისტის, პროფესიული სტუდენტის ასისტენტის და სხვა მხარდამჭერი პირების ჩართვა, რომელთა დახმარებით შედგება ინდივიდუალური გეგმები და ადაპტირდება სასწავლო რესურსები. გარდა ამისა, გაითვალისწინოს, სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა (მაგ.: მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, ბრაილის შრიფტის გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ (საჭიროების შესაბამისად).
ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა ბათუმისა და ფოთის ლოკაციებზე არსებული სასწავლო გარემოსა და აღჭურვილობის ამსახველი ფოტომასალა.
დარგის ექსპერტმა ისაუბრა რესურსებით უზრუნველყოფის შესახებ. მან აღნიშნა, რომ მანამდე არსებული პრობლემა აღმოფხვრილია, ვინაიდან შეძენილია რუკები და პროგრამით გათვალისწინებული ყველა სხვა რესურსი. არის ორი B გარემო, გაფორმებულია პრაქტიკის ობიექტებთან ხელშეკრულებები. რეკომენდაცია შეეხებოდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციას ნავიგაციის მოდულთან მიმართებაში, დაწესებულებას ყავს შესაბამისი კვალიფიკაციის ახალი განმახორციელებელი პირი. პროგრამა გამართულია მოთხოვნილი რაოდენობით პროფესიული სტუდენტების დასაკმაყოფილებლად.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს. მან აღნიშნა, რომ პერსონალს გადამზადება ჩაუტარდა შიდა ტრენინგებით, დასრულებულია მეთოდური გადამზადება. ასევე მარტის თვეში დაგეგმილია გარე ტრენინგები, ტრენერთან შეთანხმება უკვე მიღწეულია. წინა რეკომენდაციები სრულადაა გათვალისწინებული, განმავითარებელი რეკომენდაციის საფუძველზე მარეგულირებელ წესში შეტანილია ცვლილება, რომელიც უახლოეს მომავალში დამტკიცდება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ წაიკითხა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენლები და კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას (ს/კ: 245427337) დანართით განსაზღვრულ „გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 45-ით **(დანართი 5).**

19:20 საათზე საბჭო სხდომა დატოვა მარიამ ჩაგელიშვილმა, ხოლო 19:59 საათზე დეა აბულაძემ.

7. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირების“ (ქ. ბათუმი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს და წარმატებები უსურვა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ნანა ხითარიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ ჯგუფს დაევალა „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის-პროგრამის სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფს ასევე დაევალა განახორციელოს საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული ბ.ბ) კომპონენტის შეფასება (ქ.ბათუმი).
აღნიშნულ პროგრამაზე კვოტის გაზრდისას დაწესებულება დაეყრდნო იმ გარემოებას, რომ 2020-2030 წწ ლოგისტიკის ეროვნული სტრატეგიით საქართველო უნდა ჩამოყალიბდეს როგორც სატრანსპორტო-ლოგისტიკური ჰაბი. შესაბამისად სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული, რომელიც ლოგისტიკური ოპერაციების განსახორციელებლად გამოიყენებს ტრანსპორტის ყველა სახეობას, დღითიდღე მოთხოვნადი გახდება. ამასთანავე, აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის მსურველთა რაოდენობა წლიდან - წლამდე იზრდება. 2017 წელს გამოცხადებულ 10 ადგილზე დარეგისტრირდა 14 აპლიკანტი, 2019 წელს 10 ადგილზე-10 აპლიკანტი, ხოლო 2021 წელს 10 ადგილზე - 45 აპლიკანტი. პროგრამის ხანგძლივობა არის 50 კვირა, პროფესიულ სტუდენტთა მიღება ხორციელდება წელიწადში ერთხელ, ეს კი იწვევს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წყვეტას, რისი თავიდან აცილებისთვისაც არის საჭირო პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა. კვოტის გაზრდის შემთხვევაში დაწესებულებას მიეცემა შესაძლებლობა უწყვეტად, ყოველწლიურად შესძლოს პროფესიული სტუდენტების მიღება. (ჯამში 30 პროფესიული სტუდენტი ორ მიღებაზე). ამ ეტაპზე დაწესებულებას ჰყავს 9 პროფესიული სტუდენტი. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა არ მოითხოვს დამატებითი მატერიალური და ადამიანური რესურსის მობილიზებას.

დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაციები:
ინდიკატორი 2.2.1.-2 დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, უზრუნველყოს პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომითი ხელშეკრულებებისა და პროგრამის პაკეტში განთავსებული დოკუმენტების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა და დოკუმენტაციაში არსებული ტექნიკური უზუსტობების აღმოფხვრა. კერძოდ, ნ. მ.-სთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულია „საწყობის ლოგიკსტიკის „ მოდული, მაშინ როდესაც დანართ 22 –ში (ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ) მითითებული შემდეგი მოდულები „ საავიაციო გადაზიდვები“ და „ საწყობის ლოგისტიკა“ ნ. ს.-თან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულია „ნავსადგურში მუშაობისას ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხოება: ხოლო დანართ 22 (ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ) მითითებულია შემდეგი მოდულები: „პრაქტიკული პროექტი სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“, „საზღვაო გადაზიდვები“, „საავტომობილო გადაზიდვები“, „ლოგისტიკის საფუძვლები“, „სარკინიგზო გადაზიდვები“, „გაცნობითი პარქტიკა-სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“. აღნიშნულ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინა, რომ ისინი კითხულობენ იმ მოდულებს, რომლებიც დანართ 22-შია მითითებული.

იგივეს ადასტურებს დაწესებულების მიერ წარმოადგენილი სსიპ სასწავლო უნივერსიტეტის-ბათუმის საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსის მოხსენებითი ბარათი № 2530 (05/11/2021) საიდანაც ჩანს, რომ განმახორციელებელი პირები კითხულობენ დანართ 22-ში მითითებულ მოდულებს და სსიპ სასწავლო უნივერსიტეტის ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრში მასწავლებლების საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვევის შესახებ ბრძანება № 02-407 (09.11.2021) სადაც, აღნიშნულ პირებზე მითითებულია დანართ 22-ში მოცემული მოდულების ჯამობრივი საათობრივი დატვირთვა.
ინდიკატორი 2.2.1-6 დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში დააკონკრეტოს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი და ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა.

დაწესებულება გამოხატავს მზაობას უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესი, საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება და სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობა. ამასთან დაკავშირებით, აკადემიის სენატის 2020 წლის 24 ივლისის №12/4 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელშიც გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცესში მონაწილე/პროცესზე პასუხისმგებელი პირები და ვადები. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სასწავლო პროცესში ადაპტაციისათვის გათვალისწინებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიკაცია, სასწავლო გარემოსა და პირობების შეცვლა ან/და დამატებითი სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება. ინდივიდუალური გეგმის განსახორციელებლად პროფესიული განათლების მასწავლებელი გამოიყენებს სწავლების განსხვავებულ მეთოდებსა და სტრატეგიებს, საჭიროების შემთხვევაში-დამატებით ადაპტირებულ ტექნიკური აღჭურვილობასა და ინფრასტრუქტურას, საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალასა და ნედლეულს, შეცვლის სასწავლო პროცესის მიმდინარეობას. სასურველის წარმოდგენილ დოკუმენტში დაკონკრეტდეს, რომ საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება მოახდენს სასწავლო რესურსების შინაარსობრივ და ვიზუალურ ადაპტირებას (მაგ.: მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, ბრაილის შრიფტის გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ).

ექსპერტმა ფოტომასალის საშუალებით დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა A და B გარემო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ წაიკითხა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენლები და კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირების“ (ქ. ბათუმი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას (ს/კ: 245427337) დანართით განსაზღვრულ „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 30-ით ქ. ბათუმში **(დანართი 6).**

8. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირების“ (ქ. ფოთი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს და წარმატებები უსურვა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ნანა ხითარიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ ჯგუფს დაევალა „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანამანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის-პროგრამის სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფს ასევე დაევალა განახორციელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული ბ.ბ) და ბ.დ) კომპონენტების შემოწმება (ქ.ფოთი).
კვოტის გაზრდისას დაწესებულება დაეყრდნო იმ გარემობას, რომ 2021 წლის მიღებაზე, დარეგისტრირებულ აპლიკანტთა რიცხვმა შეადგინა 59 მაშინ, როდესაც მისაღები ადგილების რაოდენობა იყო 30. პროგრამის ხანგძლივობა არის 50 კვირა, პროფესიულ სტუდენტთა მიღება ხორციელდება წელიწადში ერთხელ, ეს კი იწვევს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წყვეტას, რისი თავიდან აცილებისთვისაც არის საჭირო პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ პროგრამის უწყვეტობას, არამედ ფოთის ფილიალის შესაძლებლობების გაძლიერებას. დაწესებულება გეგმავს ჯამში 45 პროფესიული სტუდენტის მიღებას ორ მიღებაზე. ასევე, აღსანიშნავია, 2021 წლის მიღებაზე დარეგისტრირებულ აპლიკანტთა შორის 18 იყო ქალი, ხოლო ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა შორის კი - 12. რეგიონში ქალ სტუდენტთა მოზიდვა სამომავლოდ ეკონომიკური/პოლიტიკური თვალსაზრისით საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე დადებითი კონტექსტში წარმოჩენის ერთ ერთი კრიტერიუმი გახდება გენდერული თანასწორობის მიმართულებით. დაწესებულებას ამ ეტაპზე აღნიშნულ პროგრამაზე ჰყავს 30 პროფესიული სტუდენტი. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა არ მოითხოვს დამატებითი მატერიალური და ადამიანური რესურსის მობილიზებას.

წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში აღნიშნული პროგრამა შეფასდა „მეტწილ შესაბამისად“ სტანდარტის მოთხოვნებთან. 2.2 და 2.4 კომპონენტები შეფასდა „მეტწილ შესაბამისად“. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ სასწავლო პროცესის დაწყებამდე უზრუნველყო სასწავლო პროცესისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეძენა და შესაბამისად სასწავლო პროცესი შეუფერხებლად წარიმართა.
ამ წარმოების ფარგლებში ექსპერთა მხრიდან 2.2 და 2.4 კომპონენტები შეფასდა „სრულ შესაბამისად“, შესაბამისად აღნიშნული პროგრამა არის უკვე „სრულ შესაბამისობაში“ სტანდარტის მოთხოვნებთან პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის გათვალისწინებით.

დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაციები:
ინდიკატორი 2.2.1-6 დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში დააკონკრეტოს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი და ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა.
დაწესებულება გამოხატავს მზაობას უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესი, საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება და სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობა. ამასთან დაკავშირებით, აკადემიის სენატის 2020 წლის 24 ივლისის N12/4 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელშიც გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცესში მონაწილე/პროცესზე პასუხისმგებელი პირები და ვადები. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სასწავლო პროცესში ადაპტაციისათვის გათვალისწინებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიკაცია, სასწავლო გარემოსა და პირობების შეცვლა ან/და დამატებითი სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება. ინდივიდუალური გეგმის განსახორციელებლად პროფესიული განათლების მასწავლებელი გამოიყენებს სწავლების განსხვავებულ მეთოდებსა და სტრატეგიებს, საჭიროების შემთხვევაში-დამატებით ადაპტირებულ ტექნიკური აღჭურვილობასა და ინფრასტრუქტურას, საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალასა და ნედლეულს, შეცვლის სასწავლო პროცესის მიმდინარეობას. სასურველის წარმოდგენილ დოკუმენტში დაკონკრეტდეს, რომ საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება მოახდენს სასწავლო რესურსების შინაარსობრივ და ვიზუალურ ადაპტირებას, (მაგ.: მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, ბრაილის შრიფტის გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ).
ინდიკატორი 2.4.1-1 დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია სატვირთი გადაზიდვის ლოგისტიკის ოპერირების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა მოიყვანოს შესაბამისობაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესთან.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია რომ „ თუ მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ამ მოდულის დასრულებიდან ორი კვირის ვადაში, განმეორებით დაადასტუროს შესაბამისი სწავლის შედეგი“. „საწარმოო პრაქტიკა-სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ წარმოადგენს „პრაქტიკული პროექტის სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ მოდულის წინაპირობას. ამ შემთხვევაში სასწავლო გეგმაში აღარ არის გამოყოფილი ვადა სწავლის შედეგის ხელახალი (განმეორებითი) დადასტურებისთვის.
ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა AC, B და A გარემოს ამსახველი ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დარგის ექსპერტს, რომელმაც აღნიშნა, რომ გასაუბრება ჩატარდა პრაქტიკის ობიექტებთან. ხელშეკრულება გაფორმებულია რეგიონის უმსხვილეს კომპანიებთან, მათ შორისაა ახალგახსნილ პორტში ოპერატორი კომპანია. ხელმძღვანელი

გამოთქვამს მზაობას თანამშრომლობისთვის, ვინაიდან ძირითადად ჰყავს თვითნასწავლი სპეციალისტები და სურს საკუთარი კადრებიც მომზადდეს მოცემული პროგრამით ან შესაძლებლობის შემთხვევაში მოკლევადიანი პროგრამით.
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგნელს სთხოვა დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია. დაწესებულების წარმომადგენელმა დასძინა, რომ „პორტების ლიგისტიკის მენეჯმენტის“ საგანმანათლებლო პროგრამის იდენტური რეკომენდაციები იყო გაცემული. პირველი რეკომენდაციის საფუძველზე ხელშეკრულებებში უკვე შეტანილია ცვლილებები. ცვლილებები განხორციელდა მარეგულირებელ წესშიც, რომელიც ოფიციალურად დამტკიცდება სენატის სხდომაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წინა გადაწყვეტილებების შემდეგ პროგრესი აშკარაა და დასაფასებელია დაწესებულების მიმღებლობა და ორიენტირება ხარვეზების გამოსწორებაზე.
საბჭოს წევრი შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, აპირებს თუ არა დაწესებულება რაიმე მომზადება/გადამზადების პროგრამის დამატებას ლოგისტიკის მიმართულებით (მაგალითად - საწყობის ლოგისტიკა). დარგის ექსპერტმა დასძინა, რომ დაწესებულებას შეძენილი აქვს საწყობისთვის განკუთვნილი აღჭურვილობა და სავსებით შესაძლებელია ამ მიმართულების მომზადება-გადამზადების პროგრამის განხორციელებაც, რაზეც დიდი მოთხოვნა იქნება. პროგრამის დამატება სასწავლებლის გადასაწყვეტია, თუმცა რესურსი არის. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მუშაობენ მოკლევადიანი პროგრამების შექმნაზე, რისთვისაც უკვე მოხდა პერსონალის გადამზადება.
საბჭოს თავმჯდომარემ დასვა კითხვა მარკეტინგული პროცესების შესახებ. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას მოკლევადიანი კურსების წარმოების საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს. დაწყებულია მუშაობა სასერთიფიკატო კურსებზე, რისთვისაც პირველ ეტაპზე გადამზადდა პერსონალი. დაახლოებით 4 თვეა მიმდინარეობს მუშაობა „პეის ჯგუფთან“, რომელმაც ახალი პორტი გახსნა. თავადაც მონაწილეობს პროგრამის შემუშავებაში, იქ გაივლიან პრაქტიკას. მუშაობა მიდის 10 მოკლევადიან პროგრამაზე. GIZ-ის მხარდაჭერით დაწესებულებამ მიიღო სასაწყობე დაფინანსება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ წაიკითხა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენლები და კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირების“ (ქ.ფოთი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას (ს/კ: 245427337) დანართით განსაზღვრულ „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 45-ით ქ. ფოთში **(დანართი 7).**

9. შპს ცხუმ-ეგრისისთვის „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს და წარმატებები უსურვა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 1 თებერვლის N 93873 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი.

ექსპერტთა ჯგუფს დაევალა მიმდინარე წლის 7 და 8 თებერვალს, „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ემუხლისმე-2 პუნქტისბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმების მიზნით ვიზიტის განახორციელება შპს „ცხუმ-ეგრისში“ მისამართზე ქ.ზუგდიდი, მ. კოსტავას ქ. N 32.
ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შპს - „ცხუმ-ეგრისის“ მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2021 წლის 21 დეკემბერს წარმოდგენილი განაცხადი თანდართული დოკუმენტაციით, „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ.
ვიზიტი წარიმართა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგით. დოკუმენტაციის შესწავლის, ადმინისტრაციასთან და პერსონალთან გასაუბრების, მატერიალური რესურსის და პრაქტიკის ობიექტების ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე შედგა „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა.
წინა ვიზიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაციები:
1.B გარემოში დარჩეს მხოლოდ 14 კომპიუტერი, რამდენადაც 22 კვ.მ ფართი მეტის შესაძლებლობას არ იძლევა.
2.თითოეულ B გარემოში განთავსებულია 14 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის, ერთი პროგრამის განმახორციელებელი პირისთვის 2 მულტიფუნქციური პრინტერი,

პროექტორი და შესაბამისი საპროექციო დაფა. ამავე აუდიტორიაში განთავსებულია პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი რესურსი.
3.პრაქტიკის ობიექტებთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში გათვალისწინებულ იქნას დაწესებულების პროფილი და არსებული სერვისები.
4.აღნიშნულთან დაკავშირებით შეიცვალა ხელშეკრულება, რომელშიც დაწვრილებითაა მითითებული პრაქტიკის ობიექტის აღჭურვილობა, ობიექტებზე განსახორციელებელი აქტივობები. ხელშეკრულებების საფუძველზე უზრუნველყოფილია ზღვრული ოდენობის პროფესიული სტუდენტთათვის პრაქტიკის ობიექტზე მოდულების განხორციელება.
5.შეიცვალოს ხელშეკრულებები კლინიკური მოდულების განმახორციელებლებთან (პარტნიორ ორგანიზაციასთან სს „ევექსის ჰოსპიტლები“) და ხელშეკრულებაში დარჩეს მხოლოდ მოდულები, რომელთა განხორციელებაც შეიძლება ამ ჰოსპიტლებში.
რეკომენდაციის შესაბამისად შეიცვალა ხელშეკრულება. მოდულების გავლისთვის საჭირო ინვენტარს, აღჭურვილობას კლინიკა უზრუნველყოფს.
6. გაფორმდეს ხელშეკრულება სენაკის ფსიქიატრიული ჯანმრთელობის ცენტრის პოტენციურ მასწავლებლებთან 2 კლინიკური მოდულის „კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“ (3 კრედიტი) და შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია (3 კრედიტი) განხორციელებასთან დაკავშირებით.
დაწესებულებამ წარმოადგინა 07.02.2022 წლით დათარიღებული ხელშეკრულება შპს ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრთან „სენაკის ფსიქიატრიულ კლინიკასთან“, რომელიც მდებარეობს ქ. სენაკში. დოკუმენტის თანახმად, დაწესებულებბაში განხორციელდა 2 მოდულის პრაქტიკული კომპონენტი. სამედიცინო დაწესებულება ერთდროულად მიიღებს 5 პროფესიულ სტუდენტს, ხოლო 2 ცვლაში 10-ს. სტუდენტების ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს კოლეჯი.
ექსპერტთა ვიზიტის დროს გაცემული ყველა რეკომენდაცია იყო შესრულებული.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია:
რეკომენდირებულია ადამიანური რესურსის (ადმინისტრაციის და „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების) უფრო ინტენსიური განვითარება შესაბამისი ტრენინგებით.
პრაქტიკული კომპონენტი გადატანილია პრაქტიკის ობიექტებზე. დაწესებულება ახორციელებს სხვა პროგრამებსაც, თუმცა მათთვის სხვა მატერიალური და ადამიანური რესურსია განკუთვნილი, მოცემული პროგრამისთვის დაწესებულებას ცალკე აქვს ერთი A და ორი B გარემო. თითოეულ B გარემოში არის 14 კომპიუტერი. 27 პროგრამის განმახორციელებელია და ორი ხელმძღვანელი, ერთი ექიმი და ერთი ექთანი. დაწესებულებას სურს 20 პროფესიული სტუდენტის მიღება ერთ ცვლაში, რის საშუალებასაც იძლევა არსებული რესურსები.
ექსპერტმა ფოტომასალის საშუალებით დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა სასწავლო გარემო და აღჭურვილობა.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს, რომელმაც მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ წინა ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციები შესრულებულია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ წაიკითხა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენლები და კენჭისყრაზე დააყენა შპს ცხუმ-ეგრისისთვის „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს ცხუმ-ეგრისს (ს/კ: 220377759) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 8).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 25 თებერვალი.

10. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „საექთნო საქმის“ (ქ. სენაკი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს და წარმატებები უსურვა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ქეთევან ბოტკოველი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 12 იანვრის №15114 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში (ქ. სენაკი, მშვიდობის ქუჩა №192), „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით და „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება.
აღნიშნულიდან გამომდინარე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან სრულფასოვანი შეფასების მიზნით, შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა,

განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც 28 იანვარს, განხორციელდა ვიზიტი ქ. სენაკის ბაზაზე.
ექსპერტთა ჯგუფის მიზანს წარმოადგენდა ყველა იმ გარემოების შესწავლა, რაც უკავშირდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 60 პროფესიული სტუდენტით გაზრდისთვის დაწესებულების შესაძლებლობების დადგენასა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასებას (ავტორიზაციის საბჭოს 06.11.2018 წ. №87 გადაწყვეტილების შესაბამისად „საექთნო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა ქ. სენაკის განყოფილებაში განსაზღვრული იყო 40 პროფესიული სტუდენტით).
ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელობას და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად განიხილეს დაწესებულებაში „საექთნო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხები. გაესაუბრნენ „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების განმახორციელებელ პირებს, პროგრამის ხელმძღვანელს და შეამოწმეს მათი პირადი საქმეები. ექსპერტების მიერ განხორციელდა ასევე სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა და შესაბამის პასუხისმგებელ პირთან გასაუბრება. შემოწმდა დაწესებულების მატერიალური ბაზა, საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკაში არსებული პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი ფონდი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. შემოწმდა პრაქტიკის ობიექტებთან დადებული მემორანდუმები/ხელშეკრულებები და განხორციელდა მათთან გასაუბრება ონლაინ რეჟიმში.
დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია - კლინიკური პრაქტიკის დაწყებამდე განახორციელონ კლინიკური პრაქტიკის განხორციელებაში ჩართული პირების ტრენინგი მოდულური პროგრამის განხორციელების და სწავლის შედეგების შეფასების მიმართულებებით.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა იმით, თუ №87 გადაწყვეტილების შესაბამისად, ერთ მიღებაზე რამდენ სტუდენტზე იყო საუბარი. ექსპერტმა დააზუსტა, რომ განსაზღვრული კვოტა იყო 40, რაც გათვლილი იყო 3 მიღებაზე - თითო მიღებაზე 13-14 პროფესიული სტუდენტით. დაწესებულებას სურს კვოტა გაზარდოს 20-ით, რათა საერთო ჯამში ჰყავდეს 60 პროფესიული სტუდენტი. ერთ მიღებაზე მიიღებენ 20-ს. კვოტა იზრდება როგორც უწყვეტობის შესანარჩუნებლად, ისე მოთხოვნის ზრდის გამო. დაწესებულება გაეცნო იმ კლინიკების მიერ გამოგზავნილ წერილებს, რომლებსაც სჭირდებათ ამ პროფესიის ადამიანები. შპს „ლუმენის“ მიერ ჩატარებული კვლევა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები აჩვენებს მზარდ მოთხოვნას.
ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა მატერიალური რესურსების ამსახველი ფოტომასალა.
დასკვნის წარდგენის შემდგომ სიტყვა გადაეცა დარგის ექსპერტს, რომელმაც აღნიშნა, რომ ერთ-ერთი კურსდამთავრებული ხელშეკრულებით უკვე განმახორციელებელ პირად არის წარმოდგენილი. მას მეტი პროფესიული ზრდა ექნება. მატერიალური რესურსი იმ რაოდენობითაა, რომ შეიძლება გამოყენებულ იქნას დამატებით გარემოს შექმნის შემთხვევაშიც. პროგრამა განხორციელდება ორ ცვლაში. კლინიკის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ არქიმედეს კლინიკაში უკვე 15 კურსდამთავრებულია დასაქმებული, ევექსის კლინიკაში არის ტრენინგ ცენტრი და მიმდინარეობს ეფექტური მუშაობა.
საკუთარი პოზიცია დააფიქსირა დაწესებულების წარმომადგენელმა. მან დასძინა, რომ პანდემიამ განსაკუთრებულად წარმოაჩინა პროფესიის საჭიროება. ამასთან რეგიონში ერთადერთი სახელმწიფო უნივერსიტეტია, უნივერსიტეტს ჯანდაცვის მიმართულებით მხოლოდ „ფარმაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აქვს, შესაბამისად, განსაკუთრებით გამოჩნდა ამ პროფესიის აუცილებლობა, განსაკუთრებით მედდის, რომელიც არის პრიორიტეტული პროფესია პანდემიის პერიოდში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ წაიკითხა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენლები და კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „საექთნო საქმის“ (ქ. სენაკი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 220407888) დანართით განსაზღვრულ „საექთნო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 60-ით ქ. სენაკში **(დანართი 9).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 25 თებერვალი.

11. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ვეტერინარიის“ (ქ. სენაკი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომაემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს და წარმატებები უსურვა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ქეთევან ჭუჭულაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2022 წლის 12 იანვრის №15424 ბრძანებით, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, სენაკის ბაზაზე (შემდგომში - დაწესებულება 2022 წლის 28 იანვარს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. წარმოების მიზანს წარმოადგენდა „ვეტერინარიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესაბამისობის შემოწმება (პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა). ექსპერტების მიერ განხილული და შესწავლილი იქნა, დაწესებულების როგორც წინასწარ გადმოგზავნილი, ისე ადგილზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ექსპერტებისა და დაწესებულების ადმინისტრაციასთან შეხვედრა გაიმართა წინასწარ შეთანხმებული განრიგის შესაბამისად.

ხარვეზი ან რეკომენდაცია არ დაფიქსირებულა.

პროგრამა ხორციელდება 2019 წლიდან, ამჟამად სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა არის 30 (მათ შორის 29 აქტიური და 1 სტატუსშეჩერებული). წარმოების მიზანია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა 45-მდე. ადგილების რადენობის გაზრდის საჭიროება განპირობებულია პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტთა მაღალი მომართვიანობით, ასევე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ევროკავშირის პროექტის ფარგლებში შესრულებული კვლევა - „კვლევა შრომის ბაზრისა და ზრდის პოტენციალის მქონე ეკონომიკური სექტორების იდენტიფიცირების მიზნით“, სადაც ასევე ასახულია ვეტერინარიის მიმართულებით კადრების მნიშვნელოვანი დეფიციტი.
პროგრამას ახორციელებს 18 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან ერთი მათგანი არის დამატებული გაზრდილი კონტიგენტის მიზნებისათვის.
შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, თუ რა შეცვალა დაწესებულებამ დამატებული სტუდენტებისთვის რესურსების თვალსაზრისით. ექსპერტმა დააზუსტა, რომ დამატებულია ერთი პროფესიული განათლების მასწავლებელი (ჯამში 18), დამატებით არის გაფორმებული 2 მემორანდუმი პრაქტიკის ობიექტებთან _ ი/მ ნანა დიხამინჯია სასაკლაო „ჩელა“ და ასოციაცია „სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის“ (AFAD). სულ არის 9 მემორანდუმი, თითოეული მოდულების მიხედვით. დაწესებულების მატერიალური და ადამიანური რესურსი იძლევა 15 პროფესიული სტუდენტის დამატების საშუალებას. საბოლოოდ, 2.2) კომპონენტი შეფასდა, როგორც სტანდარტის შესაბამისი.
ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა სასწავლო გარემოსა და აღჭურვილობის ამსახველი ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დარგის ექსპერტს. მან დასძინა, რომ მისასალმებელია დაწესებულების მზაობა. პრაქტიკის ობიექტები სრულადაა აღჭურვილი და გამტარუნარიანია. პროგრამის განმახორციელებლებს აქვთ თეორიული და პრაქტიკული სწავლების გამოცდილება, არიან კვალიფიციური სპეციალისტები.
შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, პანდემიის პერიოდში გამოიყენება თუ არა დისტანციური სწავლების მიდგომები. ექსპერტმა დასძინა, რომ თეორიული საკითხების შესწავლისას დასაშვებია, ხოლო კლინიკური მოდულები ხორციელდება კლინიკებში რეგულეციების დაცვით.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვეტერინარიის მიმართულება არის მხარდასაჭერი დარგი. პროგრამის ძლიერი მხარე არის ის, რომ უნივერსიტეტს მომზადებული აქვს ვეტერინარიის ხუთწლიანი ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამა, ფიქრობენ უფრო მაღალ, კვლევით საფეხურზეც. სამინისტროს მხარდაჭერით საუბარი მიდის დაინტერესებულ

პირებთან. 2007 წლიდან ხორციელდება საგნობრივი პროგრამა და დაწესებულება ბაზარს აწვდის სპეციალისტებს, თუმცა საჭიროა უფრო მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრები, მაგალითად, ქირურგიის კუთხით. სტატისტიკურად მცირეა პრაქტიკოს ახალგაზრდა ვეტერინართა რაოდენობა, პროგრამის ერთ-ერთი მიზანიც, სწორედ დარგის გაძლიერებაა. მიმდინარეობს ლაბორატორიის მატერიალური ბაზის შესყიდვა (მულაჟები, კუნძულოვანი მაგიდები, პორტატული აპარატები და სხვ.).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ წაიკითხა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენლები და კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ვეტერინარიის“ (ქ. სენაკი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 220407888) დანართით განსაზღვრულ „ვეტერინარიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 45-ით ქ. სენაკში **(დანართი 10).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 25 თებერვალი.

12. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „მეფუტკრეობის“ (ქ. სენაკი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა

დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს და წარმატებები უსურვა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ნინო თამაზაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 2022 წლის 12 იანვრის №15422 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში (ქ. სენაკში, მშვიდობის ქუჩა №192) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2022 წლის 28 იანვარს განხორციელდა ვიზიტი სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში (ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. 192). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების რექტორსა და ადმინისტრაციას და შესასწავლ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.
ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (ქ. სენაკი) „მეფუტკრეობის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნით დაწესებულების შესაბამისობის შემოწმება მე-2 სტანდარტის 2.2 კომპონენტთან.
ამჟამად პროგრამა ხორციელდება მოდულური და დუალური მიდგომით. მოდულური მიდგომით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არის 10, დაწესებულებას სურს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა გაზარდოს 20-ით, რათა შეძლოს 30 პროფესიული სტუდენტის მიღება 2 მიღებაზე.
საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის საფუძველი იყო ევროკავშირის ეგიდით ჩატარებული კვლევა - „შრომის ბაზრის და ზრდის პოტენციალის მქონე ეკონომიკური სექტორების იდენტიფიცირების მიზნით“, სადაც მოცემულია, რომ სოფლის მეურნეობის დარგში გამოკითხული საწარმოების უმეტესობამ სხვა სპეციალობებთან ერთად მოთხოვნა დააფიქსირა მეფუტკრეობაზე და აღნიშნა, რომ რეგიონში კვალიფიციური მეფუტკრეების დეფიციტია. აღნიშნულ პროგრამაზე ასევე გაზრდილია მომართვიანობა, ბოლო მიღებისას 10 ვაკანტურ ადგილზე რეგისტრაცია გაიარა 17-მა აპლიკანტმა. ამჟამად პროგრამაზე არ არის არცერთი აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი. დაწესებულება არსებული კვოტის ფარგლებში ვერ ახერხებს პროგრამის უწყვეტად განხორციელებას. შესაბამისად, ერთ-ერთი მიზეზი დაწესებულების გადაწყვეტილებისა არის ის, რომ სასწავლო უნივერსიტეტს ყოველ წელს უწყვეტად შეეძლოს აღნიშნულ პროგრამაზე მიღების გამოცხადება.

სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის მიზნით დაწესებულებას ადამიანური და მატერიალური რესურსი არ დაუმატებია, თუმცა მიუხედავად ამისა, დადებითად შეფასდა გამტარიანობა და პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ გაცემულა.
ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა სასწავლო გარემოსა და პროგრამის მიზნებისთვის გათვალისწინებული რესურსების ამსახველი ფოტომასალა.
დასკვნის წარდგენის შემდეგ სიტყვა გადაეცა დარგის ექსპერტს. მან დასძინა, რომ C გარემო წარმოდგენილი იყო სრულად თავისი მატერიალური რესურსით. დაწესებულება დამატებით გეგმავს მეფუტკრის სახელოსნოს მოწყობას, რასთან დაკავშირებითაც ინფრასტრუქტურის სააგენტოსაგან მიღებულია თანხმობა. საინტრესოა, რომ ჯარას მოდული პროგრამაში არ შედის, მაგრამ თემატიკაში შეტანილია ჯარას კომპონენტი. კოოპერატივის წევრები აქტიურად არიან ჩართულნი სასწავლო პროცესში. პროფესიის შემსწავლელთა მოთხოვნა არის მზარდი.
საკუთარი პოზიცია დააფიქსირა დაწესებულების წარმომადგენელმა, რომელმაც აღნიშნა, რომ სახელოსნოს მშენებლობა არ არის დაკავშირებული C გარემოთი უზრუნველყოფასთან. ყველა პროდუქტის მიღება შესაძლებელია C გარემოში, თუმცა უმჯობესია C გარემო იყოს სახელოსნოს ფორმატში. სახელოსნოს პროექტი უკვე შეთანხმებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენლები და კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „მეფუტკრეობის“ (ქ. სენაკი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 220407888) დანართით განსაზღვრულ „მეფუტკრეობის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 40-ით ქ. სენაკში **(დანართი 11).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 25 თებერვალი.

13. სსიპ - კოლეჯ „თეთნულდისთვის“ „ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს და წარმატებები უსურვა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ზაირა ბერიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ კოლეჯ ,,თეთნულდის" მიერ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოდგენილ იქნა განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხის მხატვრული დამუშავება“ დამატების შესახებ. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 27 დეკემბერის №1360144 ბრძანებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა საგანმანათლებლო პროგრამის "ხის მხატვრული დამუშავების"ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება განახორციელოს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.
ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია, შედგა განრიგი. განრიგის შესაბამისად 2022 წლის 12 იანვარს ჩატარდა დისტანციური ვიზიტი, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების (ZOOM) გამოყენებით.
აღსანიშნავია, რომ დასკვნის პროექტში ექსპერტების მიერ შესწავლილი დოკუმენტებისა და დისტანციური ჩართვის თანახმად დაწესებულება მე-2 სტანდარტთან (ინდიკატორები: 2.2.1.1. და 2.4.1.6.) მიმართებაში შეფასდა შეუსაბამოდ სტანდარტის მოთხოვნებთან, თუმცა დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, არგუმენტირებულ წერილთან ერთად, გამოაგზავნა შესაბამისობის გეგმა და მტკიცებულებები, რომელიც შესწავლილი იქნა ექსპერტების მიერ და დასკვნის საბოლოო ვერსიაში მეორე სტანდარტი შეაფასდა მეტწილად. დასკვნაში აღწერილია ვიზიტის განხორციელების დეტალები.

დაწესებულებას მიეცა შემდეგ სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია:
ინდიკატორი 2.2.1.1 დაწესებულებას ვიზიტის პერიოდში არ ქონდა შესყიდული დარგობრივი კომპონენტისათვის საჭირო მატერიალური რესურსი. თუმცა წარმოადგინა რესურსით უზრუნველყოფილი შესაბამსობის გეგმა, რომლის თანახმად აღჭურვილობების შესყიდვის პროცესის დასრულების დროდ განისაზღვრება 2022 წლის ივლისი. რადგან სასწავლო პროცესის დაწყების სავარაუდო დრო არის 2022 წლის ოქტომბერი, დაწესებულება შეძლებს მითითებული აღჭურვილობების შესყიდვას და პროგრამის განხორციელებას სრულყოფილად. შესაბამისად ექსპერტები ეთანხმებიან დაწესებულების შეფასებას, რომ აღნიშნული ინდიკატორი მეტწილად შესაბამისია.
ინდიკატორი 2.2.1.1 - C სასწავლო გარემო / სახელოსნო, სადაც დარგობრივი მოდულების სასწავლო პროცესის განხორციელება იგეგმება, დისტანციურად განხორციელებული ვიზიტის პერიოდში არ იყო აღჭურვილი და ესაჭიროებოდა სარემონტო სამუშაოები. დისტანციურად განხორცილებული ვიზიტის პერიოდში, პსდ-ს წამომადგენლებთან გასაუბრებისას

გამოვლინდა რომ C სასწავლო გარემოსთან დაკავშირებით ჯერ არ ქონდათ მიწერილობა ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან შენობის სარემონტო სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებით და ეს აქტივობა არ იყო წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით. პსდ-მ აღნიშნული აქტივობა გაწერა შესაბამისობის გეგმაში და ვიზიტის ფარგლებში წარუდგინა ექსპერტებს, თუმცა აღნიშნულ გეგმაში არ იყო მითითებული აქტივობის განხორციელებისათვის შესაბამისი საჭირო რესურსი, შესაბამისად დასკვნის პროექტში ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, თუმცა არგუმენტირებულ წერილთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია კონკრეტული აქტივობები და სავარაუდო დრო შესრულების, ასევე თანდართული შესაბამისი მტკიცებულებები, რაც შესწავლილი იქნა ექსპერტების მხრიდან და ინდიკატორი შეფასდა მეტწილად.

ინდიკატორი 2.4.1.6 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხის მხატვრული დამუშავება“ პრაქტიკული სასწავლო პროცესი განხორციელების დროს ითვალისწინებს შესაბამის უსაფრთხოების წესების დაცვას პროგრამის სპეციფიკის შესაბამისად, ვინაიდან ხის დამუშავება და ავეჯის დამზადება ითვლება მომეტებული საფრთხის შემცველ ინდუსტრიად. დაწესებულებამ C სასწავლო გარემოს აღჭურვის შემდგომ უნდა შეიმუშაოს შესაბამისი უსაფრთხოების წესი. აღსანიშნავია რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბმისობის გეგმაში წარმოდგენილია C სასწავლო გარემოს აღჭურვის აქტივობები, ხოლო ამ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უსაფრთხოების წესის შემუშავება არ იყო გაწერილი. აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა მხრიდან ინდიკატორი დასკვნის პროექტში შეფასდა ხარვეზად, თუმცა არგუმენტირებულ წერილთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია კონკრეტული აქტივობები და სავარაუდო დრო შესრულების, რაც შესწავლილი იქნა ექსპერტების მხრიდან და ინდიკატორი შეფასდა მეტწილად.

დაწესებულებას მიეცა შემდეგი განმავითარებელი რეკომენდაციები:

ინდიკატორი 2.1.1.4 - დაწესებულებას უზრუნველყოფილი აქვს პროგრამის ფარგლებში საჭირო საგანამაანთლებლო რესურსი, თუმცა დამატებით დარგის ექსპერტის მხრიდან მიეცათ რეკომენდაცია დამხმარე საგანმანათლებლო რესურსებთან დაკავშირებით და მიეწოდათ შესაბამისი ლინკები ელექტრონულად ხელმისაწვდომობისათვის.

ინდიკატორი 2.1.1.8 - დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცათ რეკომენდაცია, მოდულების ადაპტაციის ერთიან მიდგომასთან დაკავშირებით, რადგან: დაწესებულების მიერ დამტკიცებული მოდულები და „სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის“ დანართები არ არის სრულად ადაპტირებული, კერძოდ: რიგ მოდულებში დამხმარე ჩანაწერების ნაწილში გვხვდება ადაპტირების მიუხედავად ზოგადი ჩანაწერი როგორიცაა პროფესიული სტუდენტი / მსმენელი; მიზანშეწონილია; რეკომენდირებულია; სასურველია;

ინდიკატორი 2.2.1.1 - პროგრამის ფარგლებში არ იგეგმება პრაქტიკის ობიექტებთან თანამშრომლობა, შესაბამისად დაწესებულებას არ აქვს პრაქტიკის ობიექტებთან გაფორებული ხელშეკრულებები. დარგის ექსპერტის მიერ რეკომენდაცია გაეწია რეგიონში მოქმედ რამდენიმე სახელოსნოს, რომელიც შესაძლებელია ჩართული იყოს პროგრამის განხორციელების პროცესში, თუნდაც სასწავლო ვიზიტის ფარგლებში.

ინდიკატორი 2.2.1.4 - დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესში, მუხლი 5 - პროგრამის ხელმძღვანელი - უფრო დეტალურად გაწეროს მისი ფუნქცია-მოვალეობები, საჭირო უნარები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ინდიკატორი 2.4.2.2 - დაწესებულებას აქვს შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმი, აღნიშნულ მექანიზმში არ არის გათვალისწიებული ვერიფიკაციის მიზნებიდან გამომდინარე რიგი აქტივობები. ექსპერტების მხრიდან დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ მექანიზმში აგრეთვე გაწეროს: შერჩევის პრინციპები (მ.შ. რისკების სისტემა); ვერიფიკაციის პროცესის აღწერა; დასკვნა; დასკვნის განხილვა; სამოქმედო გეგმა.

ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასწავლო გარემოსა და რესურსების ამსახველი ფოტომასალა (შემოწმდა ვიდეოზარის მეშვეობით).
სახელოსნოსთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა. მან დასძინა, რომ გარემო ფაქტორებმა შესაძლოა გავლენა იქონიოს სარემონტო სამუშაოების დასრულებაზე, რასთან დაკავშირებითაც წერილი გაეგზავნა ინფრასტრუქტურის სააგენტოს. ინფრასტრუქტურის სააგენტო ადასტურებს, რომ აგვისტოში დასრულებული იქნება სარეაბილიტაციო სამუშაოები ხის მხატვრული დამუშავების პროგრამის სახელოსნოსთვის.
შორენა ჯაფარიძემ კითხვით მიმართა დარგის ექსპერტს, ხომ არ ემუქრება ჩარხების მიწოდების შეფერხება პროგრამის განხორციელებას; რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ სწავლა იწყება შემოდგომაზე, თუმცა ჩარხები და დანადგარები საჭირო იქნება წლის ბოლოს. დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ ერთი ტენდერი უკვე დასრულებულია. 11 თებერვალს გაფორმდა ხელშეკრულება და შესაძენი რესურსის დაახლოებით 75%-ის შესყიდვის პროცესი ფაქტობრივად დასრულებულია, საჭიროა შემოზიდვა. დანარჩენი დასრულდება აპრილის ბოლოსთვის.
შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა დარგობრივი მიმართულების განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციით. დარგის ექსპერტმა დასძინა, რომ დაწესებულებას ჰყავს კვალიფიციური კადრები და სასწავლებელს აქვს პოტენციალი, რომ მესტიაში იყოს ხის მხატვრული დამუშავების წამყვანი ცენტრი. საბჭოს წევრმა ასევე გამოთქვა მოსაზრება, რომ კარგი იქნებოდა ხის მხატვრული დამუშავების პროგრამის ფარგლებში და რესურსის გამოყენებით, დაწესებულებას დაეგეგმა ეროვნული მუსიკალური ინსტრუმენტების დამზადების მომზადება/გადამზადების პროგრამის შემუშავება. დაწესებულებაში არსებობს შესაბამისი გამოცდილება, ასევე კვალიფიციური კადრი, რომელიც შეძლებს ამ მიმართულების განვითარებას. დარგობრივი ექსპერტი დაეთანხმა, რომ ეს მნიშვნელოვანი იქნებოდა.
ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა დასძინა, რომ 2.4 კომპონენტი ითვალისწინებს უსაფრთხო გარემოს შექმნას, დაწესებულებამ რეაბილიტაციის დროს გაითვალისწინოს აღნიშნული და პარალელურად მოესწროს მისი დასრულება სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის დათქმულ ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ წაიკითხა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენლები და კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „თეთნულდისთვის“ „ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი, იმ დათქმით, რომ გადაწყვეტილების მიღებიდან 6 თვის შემდეგ ცენტრი განახორციელებს მონიტორინგს 2022 წლის 22 აგვისტოდან 2.2. კომპონენტის ფარგლებში, მონიტორინგის განხორციელების ფორმა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის,

შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „თეთნულდს“ (ს/კ: 235891512) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 12).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 25 თებერვალი.

21:26 საათზე საბჭომ დაასრულა მუშაობა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რზგოევა ქრისტინა

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	საბაჟო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1032
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ფოთი, წმინდა გიორგის ქ. №24
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	45
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	93
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	ამწის ოპერირება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ამწის ოპერირებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №53
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	46
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ./ გამზირი №53 ქ. ფოთი, წმინდა გიორგის ქ. №24
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	45
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	102

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №53
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური დუალური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	20 (მოდულური - 15, დუალური - 5)
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	51
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	81

დანართი 5

პროგრამის სახელწოდება	გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №53 ქ. ფოთი, წმინდა გიორგის ქ. №24
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	45
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	91
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	106

დანართი 6

პროგრამის სახელწოდება	სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №53
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	69
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99

დანართი 7

პროგრამის სახელწოდება	სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ფოთი, წმინდა გიორგის ქ. №24
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	45
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	69
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99

დანართი 8

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ზუგდიდი, მ. კოსტავას ქ. №32
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	20
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

დანართი 9

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. №192
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	60
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

დანართი 10

პროგრამის სახელწოდება	ვეტერინარია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0841
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. №192
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	45
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

დანართი 11

პროგრამის სახელწოდება	მეფუტკრეობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მეფუტკრეობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. №192
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური დუალური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	მოდულური - 30 დუალური - 10
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	75

დანართი 12

პროგრამის სახელწოდება	ხის მხატვრული დამუშავება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრული დამუშავება
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0214
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. მესტია, ე. ფარჯიანის ქ. №25
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	105